09.02.11 № 12/8840-13

თბილისის არქიტექტურა

№

შ.პ.ს. "ქართლი უნივერსალ სერვისი"-ს დირექტორს
ბატონ მალხაზ ჯოხაძეს,
მის: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი №2

ასლი: ქ. თბილისის მერიის
ზედამხედველობი საქალაქო სამსახურს.
მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარატავას ქ. №7.

ბატონო მალხაზ,

განვიხილეთ თქვენი 03.02.11წ. №12/8840-13 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სექტორი – ისანი, მოსკოვის გამზირი №2-ში, შ.პ.ს. "ქართლი უნივერსალ სერვისი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი №002/044), საკადასტრო საზღვრებში, 2.20 მეტრამდე ღობის მოწყობას, გაცნობებთ, რომ „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის თანახმად, მშენებლობის ნებართვას არ საჭიროებს I კლასს დაქვემდებარებული მახასიათებლების მქონე, არასაზოგადებრივი, კერძო სამშენებლო მიწის ნაკვეთზე განთავსებული შენობა-ნაგებობები, კერძოდ:

ა) 60 მ^{2}- მდე სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ჯამური ფართობის, 5 მ-მდე სიმაღლის და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა;
ბ) 20 მ^{3}- მდე მოცულობის, 10 მ-მდე სიმაღლის და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 10 მ-მდე ჩაღრმავების მქონე ნაგებობა;
გ) გრუნტის ზედაპირიდან 2.20 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე;
დ) შენობა-ნაგებობა, რომლის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის სიგრძე ნაკლები ან ტოლია 5 მ-ის.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, თუ განზრახული გაქვთ, ქ. თბილისში, სექტორი – ისანი, მოსკოვის გამზირი №2-ში, შ.პ.ს. "ქართლი უნივერსალ სერვისი"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი №002/044), საკადასტრო საზღვრებში, 2.20 მეტრამდე ღობის მოწყობა, წარმოდგენილი ნახაზების შესაბამისად, იგი არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას. იმავე დადგენილების 66-ე მუხლის 1 პუნქტის თანახმად, მშენებლობის მწარმოებელი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის სამშენებლო რეგლამენტით გათვალისწინებული მოთხოვნები.

დანართი: პროექტის 1 ეგზემპლარი (გადავგზავნოს ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს)

პატივისცემით,
I და II კლასის შენობა-ნაგებობების
სანებართვო განყოფილების უფროსი

მ. ძიძიგური

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
"თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ქ. ნარიტავას 7
ტელ: +995 32 72 22 22 ფაქს: +995 32 37 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect